საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 20 2020 წლის 31 იანვარი ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

დავით მალაზონია – შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი – საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი გიგიბერია – ა(ა)იპ – ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნატალია შანიძე – შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი – საბჭოს მდივანი;

ქეთევან ნატროშვილი – შპს „ქართული სასწავლებლის – თბილისის“ დირექტორის მოადგილე;

მაკა მამფორია – შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;

ირმა ბარბაქაძე – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ავთანდილ აბდუშელიშვილი – შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;

კახაბერ ფარცვანია – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;

არჩილ სუმბაძე – შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის – თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

გრიგოლ მურღულია – ა(ა)იპ – საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა – ა(ა)იპ – განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე.

გიორგი გახარია